

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით
ოქმი № _____ 2016 წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი

_____ *ლ. ხვედელიძე*

_____ 2016 წ.

მძღოლის
თანამდებობრივი ინსტრუქცია

ნდ №2-010301-16-04

ბათუმი
2016

წინასიტყვაობა:

1. დამუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
2. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
4. ინსტრუქციის პერიოდული შემოწმება ხდება არაუგვიანეს 12 თვისა;
5. ცვლილებები მუშავდება სასწავლო უნივერსიტეტში ინსტრუქციის გამოყენების შედეგების ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დამუშავდა ეს ინსტრუქცია.

ინსტრუქციაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების ბიულეტენის №	ცვლილებების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	კორექტირების შემსრულებელი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

1. გავრცელების სფერო

- 1.1 წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს მძღოლის ვალდებულებებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
- 1.2 წინამდებარე ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს ამძღოლისთვის;
- 1.3. წინამდებარე ინსტრუქციის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
 3. სამეურნეო სამსახურში (ელ. ვერსია).

2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

- 2.1. წინამდებარე ინსტრუქცია დამუშავებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:
 - 2.1.1. ISO 9001-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები.
 - 2.1.2. ISO 9000-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ლექსიკონი.
 - 2.1.3. „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“;
 - 2.1.4. ნდ №2-010101-ბნსუ-ის წესდება;
 - 2.1.5. ნდ №2-020101-ბნსუ-ის ხარისხის სახელმძღვანელო;
 - 2.1.6. ნდ №2-020101-01- დოკუმენტების მართვის პროცედურა;

3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები

- 3.1. წინამდებარე კრებულში მოყვანილი ტერმინების განმარტებები მოცემულია ხარისხის სახელმძღვანელოში:

3.2 შემოკლებები

1. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
2. ბნსუ- შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;
3. ნდ - ნორმატიული დოკუმენტი;

4. სამეურნეო სამსახურის მძღოლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

4.1. ზოგადი დებულებები

1. სამეურნეო სამსახურის მძღოლი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით და უშუალოდ ექვემდებარება სამეურნეო სამსახურის უფროსს;
2. სამეურნეო სამსახურის მძღოლი ხელმძღვანელობს უფროსის განკარგულებებით, შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის წესებით;
3. მძღოლმა უნდა იცოდეს:
 - ◆ საგზაო მოძრაობის წესები, საჯარიმო სანქციები მათი დარღვევისთვის;
 - ◆ ავტომობილის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და ზოგადი მოწყობილობა, ხელსაწყოების და მრიცხველების ჩვენებები, მართვის ელემენტები (კლავიშების, კნოპების, სახელურების და ა. შ. დანიშნულება);
 - ◆ სიგნალიზაციის სისტემების დაყენების და მოხსნის წესი მათი ამოქმედების ხასიათი და პირობები;
 - ◆ ავტომობილის შენახვის, ძარისა და სალონის მოვლის, სისუფთავის და დიდი ხნით ხელსაყრელ მდგომარეობაში შენარჩუნების წესები (არ გარეცხოს ძარა პირდაპირ მზის სხივებზე, ზამთარში ცხელი წყლით, დროულად წაუსვას დამცავი ლოსიონები, სარეცხი სითხეები და სხვ.);
 - ◆ მორიგი ტექნიკური მომსახურების, ტექნიკური დათვალიერების ჩატარების, სალტეებში წნევის, სალტეების ცვეთის, საჭის თვლის თავისუფალი სვლის კუთხის და მისთ. შემოწმების ვადები ავტომობილის ექსპლუატაციის ინსტრუქციის თანახმად.

4.2. ვალდებულებები

სამეურნეო სამსახურის მძღოლი ვალდებულია:

1. საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს რისკებზე ორიენტირებული აზროვნების მოთხოვნებით;
2. უზრუნველყოს ავტომობილის სწორი ნელი პროფესიონალური ტარება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას და თვით ავტომობილის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობას. არ გამოიყენოს გარდა უკიდურესი აუცილებლობისა ხმოვანი სიგნალები და სწრაფი გასწრებები წინ მიმავალ ავტომობილებზე. მძღოლი ვალდებულია და შეუძლია დაინახოს ნებისმიერი საგზაო გარემოება; შეარჩიოს მოძრაობის სიჩქარე და დისტანცია, რომელიც გამორიცხავს ავარიული სიტუაციების წარმოქმნას;
3. არ დატოვოს უყურადღებოთ ავტომობილი თუნდაც ცოტა ხნით, რაც წარმოქმნის ავტომობილის გატაცების ან სალონიდან რაიმე ნივთის მოპარვის საფრთხეს. მოახდინოს ავტომანქანის პარკირება მხოლოდ დაცულ სადგომებზე;
4. აუცილებლად დააყენოს ავტომობილი სიგნალიზაციაზე სალონიდან გადმოსვლის დროს. მოძრაობისა და დგომის დროს ავტომობილის ყველა კარი უნდა იყოს ბლოკირებული. ავტომობილიდან გადმოსვლისას (ჩაჯდომისას) აუცილებლად უნდა იყოს დარწმუნებული პოტენციური საშიშროების არარსებობაში;
5. თვალყური ადევნოს ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობას, დამოუკიდებლად შეასრულოს აუცილებელი სამუშაოები მისი უსაფრთხო ექსპლუატაციის

- უზრუნველყოფისათვის (ექსპლუატაციის ინსტრუქციის თანახმად), დროულად ჩაატაროს ტექნიკური მომსახურება და ტექნიკური დათვალიერება;
6. უზრუნველყოს ავტომობილის ძრავის, ძარისა და სალონის სისუფთავე, დაიცვას ისინი ამისათვის განკუთვნილი ამა თუ იმ ზედაპირის მოვლის შესაბამისი საშუალებებით;
 7. მკაცრად შეასრულოს რექტორის და მისი უშუალო უფროსის ყველა განკარგულება. უზრუნველყოს ავტომობილის დროული მიწოდება;
 8. შეატყობინოს მის უშუალო უფროსს სწორი ინფორმაცია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
 9. არ გამოიყენოს მუშაობის წინ ან პროცესში ალკოჰოლი, ფსიკოტროპული, ძილის მომგვრელი, ანტიდეპრესიული და სხვა საშუალებები, რომლებიც ამცირებენ ყურადღებას, რეაქციას და ადამიანის ორგანიზმის შრომისუნარიანობას;
 10. კატეგორიულად არ დაუშვას მგზავრების გადაყვანა ან ტვირთის გადატანა საკუთარი ნებით, ასევე ავტომანქანის რაიმე სახით გამოყენება პირადი მიზნებისათვის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე. ყოველთვის იმყოფებოდეს სამუშაო ადგილას ავტომობილში ან მისგან უშუალო სიახლოვეს;
 11. ყოველდღიურად აწარმოოს საგზაო ფურცლები, მარშრუტის, გავლილი კილომეტრაჟის, საწვავის ხარჯვის აღნიშვნით. შტატში მყოფი მძღოლები ასევე აღნიშნავენ გამომუშავებული დროის რაოდენობას;
 12. თვალყური ადევნოს გარემომცველი გზის მდგომარეობას. დაიმახსოვროს ავტომობილების ნომრები და განსაკუთრებული ნიშნები მათი ხანგრძლივი „კუდზე“ მიდევნების შემთხვევაში. შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს ყველა თავისი ეჭვი, რაც ეხება უსაფრთხოების საკითხებს, შეიტანოს თავისი წინადადებები მისი გაზრდისათვის;
 13. არ დაუშვას, რომ სამუშაო დროს დაკავებული იყოს სხვა საქმით. გამოავლინოს შემოქმედებითი მიდგომა მისი უშუალო ვალდებულებების მიმართ, შეეცადოს რომ იყოს სამუშაოსთვის სარგებლიანი მისი საქმიანობის განმავლობაში. გამოავლინოს გააზრებული კონსტრუქტიული ინიციატივა.

4.3. პასუხისმგებლობა

სამეურნეო სამსახურის მძღოლი პასუხისმგებელია:

1. შეიტანოს ხელმძღვანელობასთან წინადადება, რომელიც მიმართულია უსაფრთხოების და ავტომობილის ექსპლუატაციის არაავარიულობის გაზრდაზე, ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წინამდებარე ინსტრუქციის შესრულებას;
2. წინამდებარე ინსტრუქციით მასზე დაკისრებული მოვალეობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
3. ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ქვედანაყოფში ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვაზე.
4. შრომითი დისციპლინის და შრომის შინაგანაწესის დაცვაზე;
5. კონფიდენციალურობის მოთხოვნების დაცვაზე.

შეთანხმებულია
იურისკონსულტი

გ. დიასამიძე

5. ინსტრუქციის პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№№ რ/ნ	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმებლის გვარი, ინიციალები, თანამდებობა	ხელმოწერა	ცვლილებას ექვემდებარება პუნქტები

6. ინსტრუქციაზე გაცნობის ფურცელი

გვარი ინიციალები	თანამდებობა	გაცნობის ვადა	ხელმოწერა	გაცნობის თარიღი